

ტესტი ისტორიაში

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია დავალებებისთვის № 1-24. თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რა უდევს საფუძვლად ქორონიკონით წელთაღრიცხვის სისტემას?


ა. 532 წლიანი ციკლი;

ბ. ძველი ებრაული კალენდარი;

გ. 780 წლიანი ციკლი;

დ. ძველი სპარსული კალენდარი.

(1) 2. რომელი დამხმარე ისტორიული დისციპლინა შეისწავლის ილუსტრაციაზე გამოსახულ ობიექტს?



- ა. ონომასტიკა;
- ბ. ეპიგრაფიკა;
- გ. ჰერალდიკა;
- დ. გენეალოგია.

(1) 3. ძველი აღმოსავლეთის რომელი ქალაქის ერთ-ერთი კარიბჭეა აღბეჭდილი ფოტოზე?



ა. ალექსანდრიის;

ბ. ბაბილონის;

გ. მემფისის;

დ. პერსეპოლისის.

(1) 4. რა ეწოდება ქართულ ნარატიულ წყაროს, სადაც დაცულია ცნობა ქართველთა წარმომავლობის შესახებ?

ა. მატიაზე ქართლისად;

ბ. ძეგლი ერისთავთა;

გ. მოქცევაი ქართლისად;

დ. ასწლოვანი მატიაზე.

(1) 5. ვინ იყო ძვ. წ. V საუკუნეში ათენში მოღვაწე ფიდიასი?

ა. დრამატურგი;

ბ. მოქანდაკე;

გ. პოლიტიკოსი;

დ. მემატიანე.

(1) 6. ვისა და ვის შორის მომხდარი დაპირისპირებით იწყება სამოქალაქო ომების ეპოქა რომის რესპუბლიკაში?

ა. მარიუსსა და სულას;

ბ. სერტორიუსსა და კრასუსს;

გ. პომპეუსსა და ლუკულუსს;

დ. ოქტავიუსსა და ანტონიუსს.

(1) 7. რომის რომელ იმპერატორს ეკუთვნის ფილოსოფიური ნაშრომი „ფიქრები“?

ა. ტიტუს ფლავიუსს;

ბ. ანტონინუს პიუსს;

გ. მარკუს ავრელიუსს;

დ. კონსტანტინე დიდს.

(1) 8. ვის მოღვაწეობას უკავშირდება აღმოსავლეთ საქართველოში ფართო სამონასტრო ცხოვრების დაწყება?

ა. ათონელი მამების;

ბ. კლარჯი ბერების;

გ. ასურელი მამების;

დ. პალესტინელი მწირების.

(1) 9. რომელი მსჯელობაა მართებული იმ სახელმწიფოს შესახებ, რომლის მეთაური რომის პაპი გახდა?

ა. კონსტანტინე დიდმა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აღიარების სანაცვლოდ, პაპს უბოძა რომი და მიმდებარე მიწები, სადაც პაპი მმართველად გამოცხადდა;

ბ. იუსტინიანე დიდმა რომის პაპთან ფარული შეთანხმებით შეიერთა თითქმის მთელი იტალია და რომის ოლქი სამართავად პაპს გადაეცა;

გ. კარლოს დიდმა პაპის ხელშეწყობით დაიპყრო რომის ოლქი, სადაც ამ უკანასკნელის ხელისუფლება უზენაესად გამოაცხადა;

დ. პიპინ მოკლემ რომის პაპის გადასცა რავენასა და რომის ოლქები, რომლებსაც ამიერიდან პაპი, როგორც საერო ხელისუფალი, ისე მართავდა.

(1) 10. რა ეწოდება ფრანკთა იმპერიაში IX საუკუნის დასაწყისში დაწყებულ კულტურულ-საგანმანათლებლო აღმავლობას?

ა. კაროლინგური რენესანსი;

ბ. ევროპული გამოღვიძება;

გ. ადრეული ჰუმანიზმი;

დ. მეროვინგული რეფორმაცია.

(1) 11. რომელი სახელმწიფოს მონარქის ქვეშევრდომი იყო უილიამ დამპყრობელი, რომელმაც 1066 წელს ინგლისი დაიპყრო?

- ა. საფრანგეთის;
- ბ. კასტილიის;
- გ. საღვთო რომის;
- დ. დანიის.

(1) 12. რომელი რუსული სამთავროს გაძლიერება იწყება მონღოლთა ბატონობის დროს?

ა. ნოვგოროდის;

ბ. კიევის;

გ. მოსკოვის;

დ. სუზდალის.

(1) 13. რა ერქვა ხელოსანთა და ვაჭართა გაერთიანებებს შუა საუკუნეების ევროპულ ქალაქებში?

ა. ჰანზა;

ბ. მანუფაქტურა;

გ. ორდენი;

დ. გილდია.

(1) 14. XII-XIII საუკუნეებში მოღვაწე ბექა და ბემქენ ოპიზრები იყვნენ:

ა. ჰიმნოგრაფები;

ბ. კალიგრაფები;

გ. ოქრომჭედლები;

დ. ხუროთმოძღვრები.

(1) 15. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ გამოიწვია ასწლიანი ომის დაწყება?

ა. საფრანგეთის მეფის მიერ ბურგუნდიის საჰერცოგოს დამორჩილებამ;

ბ. ინგლისის მეფის პრეტენზიამ, დაეკავებინა საფრანგეთის ტახტი;

გ. საფრანგეთის მცდელობამ, დაეხურა ნავსადგურები ინგლისის გემებისათვის;

დ. ინგლისის სწრაფვამ, გამხდარიყო საზღვაო იმპერია.

(1) 16. რა იყო „უძლეველი არმადის“ მიზანი?

ა. ინგლისის დამარცხება;

ბ. სამხრეთ ამერიკის კოლონიზაცია;

გ. პორტუგალიის ფლოტის განადგურება;

დ. საფრანგეთის საზღვაო ბლოკადა.

(1) 17. სხვა მიზეზებთან ერთად, რატომ იყო მნიშვნელოვანი ესპანელ ჰაბსბურგთათვის ნიდერლანდების ფლობა?

- ა. აქაურ პორტებში შემოდის დიდი რაოდენობით აფრიკული კოლონიებიდან;
- ბ. ხდებოდა ქვანახშირის დიდი რაოდენობით მოპოვება;
- გ. აქ მოქმედებდა ევროპაში უძველესი და უდიდესი უნივერსიტეტი;
- დ. ძალიან დიდ შემოსავალს იძლეოდა ხაზინისათვის.

(1) 18. ვინ დაიკავა რუსეთის საიმპერატორო ტახტი გვარდიის მონაწილეობით მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად რუსეთში XVIII საუკუნის 60-იან წლებში?

ა. ეკატერინე I-მა;

ბ. ანამ;

გ. ელისაბედმა;

დ. ეკატერინე II-მ.

(1) 19. რა ეწოდება ევროპის დიდი სახელმწიფოების შეხვედრას, რომლის დროსაც ნაპოლეონმა დროებით დაიბრუნა ძალაუფლება?

- ა. ვენის კონგრესი;
- ბ. პარიზის კონფერენცია;
- გ. ბერლინის კონგრესი;
- დ. ჰააგის კონფერენცია.

(1) 20. რომელი მსჯელობაა მართებული პირველი მსოფლიო ომის დროს კავკასიის ფრონტზე გამართული სარიყამიშის ბრძოლის შესახებ?

- ა. ბრძოლა რუსეთის არმიის ნაწილების გამარჯვებით დასრულდა, რამაც დიდი როლი ითამაშა ოსმალეთის შეტევის მოგერიებაში;
- ბ. ქალაქის ალყა რამდენიმე თვე გაგრძელდა და საბოლოოდ ოსმალებმა მისი აღება შეძლეს, თუმცა მიღწეული წარმატება ველარ განავითარეს;
- გ. პოზიციური ბრძოლები თითქმის მთელი ომის მანძილზე მიმდინარეობდა და ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო სერიოზული წარმატების მიღწევა;
- დ. რამდენიმე ბრძოლის შემდეგ რუსეთის არმიის ნაწილებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვითი ხაზი და მალევე დაიკავეს ქალაქი ყარსი.

(1) 21. რომელი სახელმწიფო არ მონაწილეობდა 1938 წელს მიუნხენში მიმდინარე მოლაპარაკებაში?

ა. იტალია;

ბ. სსრკ;

გ. დიდი ბრიტანეთი;

დ. საფრანგეთი.

(1) 22. რა მოვლენას მოყვა შედეგად აშშ-ის მეორე მსოფლიო ომში ჩაბმა?

ა. ელ-ალამეინთან ბრძოლას;

ბ. საფრანგეთის კაპიტულაციას;

გ. ბრიტანელების მარცხს დიუნკერკთან;

დ. პერლ-ჰარბორზე განხორციელებულ თავდასხმას.

(1) 23. რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაშია კუნძული ტექსელი, სადაც მოხდა ვერმახტის შემადგენლობაში მყოფი ქართული ბატალიონის აჯანყება?

ა. დანიის;

ბ. ბელგიის;

გ. ნიდერლანდების;

დ. ნორვეგიის.

(1) 24. რა მოიმოქმედა აშშ-მ კუბაზე საბჭოთა რაკეტების აღმოჩენისთანავე?

ა. სამხედრო ხომალდების მიერ კუბის საზღვაო ბლოკადა;

ბ. სსრკ-სთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა;

გ. საბერძნეთსა და თურქეთში მსგავსი რაკეტების განთავსება;

დ. კუბაზე ჯარის გადასხმის მცდელობა.

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 25-28.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები ან პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 25. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ბერძენ-სპარსელთა ომებთან დაკავშირებული მოვლენები.

1. სალამინის ბრძოლა

2. სამასი სპარტელის გმირობა

3. სპარსელთა დამარცხება მარათონის ბრძოლაში

(1) 26. ქრონოლოგიურად დაალაგეთ რომის პაპები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით.

1. გრიგოლ VII

2. ურბან II

3. ინოკენტი III

(1) 27. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ნაწარმოებები მათი შექმნის დროის მიხედვით.

1. „კალმასობა“
2. „სიბრძნე-სიცრუისა“
3. „დავითიანი“

(1) 28. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ქართული ფილმები მათში ასახული ეპოქების მიხედვით.

1. „ჯარისკაცის მამა“

2. „ნატვრის ხე“

3. „ცისფერი მთები“

ინსტრუქცია დავალებისთვის № 29.


მოსწავლეს მიეცა რუკა. მას საკუთარი ცოდნისა და რუკაზე არსებული ინფორმაციის გამოყენებით, უნდა ეპასუხა დასმული კითხვებისთვის.

მოსწავლის მიერ გაცემული პასუხებიდან ორი (2) შეცდომას შეიცავს.

თქვენი უნდა იპოვოთ ეს შეცდომა, გადმოწეროთ ის პასუხების ფურცლის სათანადო ადგილზე და იქვე მიუწეროთ სწორი პასუხი.

დავალება 29. რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

მოსწავლისთვის დასმული კითხვები:

29.1. რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს საომარი მოქმედებები მოცემულ რუკაზე?

29.2. რუკის მიხედვით, რომელმა სახელმწიფოებმა განახორციელეს სამხედრო აგრესია?

29.3. რუკის მიხედვით, რომელმა სახელმწიფომ განახორციელა სამხედრო აგრესია პირველად? აუცილებლად განმარტეთ, რუკაზე არსებული რა ინფორმაციის საფუძველზე გააკეთეთ საკუთარი დასკვნა.

29.4. რომელი სახელმწიფო დამარცხდა რუკაზე გამოსახულ საომარ მოქმედებებში? აუცილებლად განმარტეთ, რუკაზე არსებული რა ინფორმაციის საფუძველზე გააკეთეთ საკუთარი დასკვნა.

29.5. რუკის მიხედვით, რომელი სახელმწიფოები არ მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში?

მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები:

29.1. პოლონეთის.

29.2. ნაცისტურმა გერმანიამ და საბჭოთა რუსეთმა.

29.3. ნაცისტურმა გერმანიამ, რუკის ლეგენდის მიხედვით მან 1 სექტემბერს დაიწყო სამხედრო აგრესია.

29.4. პოლონეთი, მან დაკარგა ტერიტორიის ნაწილი.

29.5. ლიტვა და სლოვაკეთი.

ინსტრუქცია დავალებისთვის № 30.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 7.

დავალება 30. ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე




დავალება 30.



N1



N2



N3

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

- (2) **30.1.** დაასახელეთ, რომელი პოლიტიკური ძალის წინააღმდეგაა მიმართული N1 ილუსტრაცია. თქვენი პასუხი დაასაბუთეთ ილუსტრაციის მიხედვით.
- (2) **30.2.** რომელი სოციალური ფენის წინააღმდეგაა მიმართული N2 ილუსტრაცია? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ ილუსტრაციის მიხედვით.
- (2) **30.3.** სახელმწიფოს მმართველობის რომელი ფორმის წინააღმდეგაა მიმართული N3 ილუსტრაცია და როგორ ხასიათდება ილუსტრაციაზე ასახული მმართველობის ფორმა? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ ილუსტრაციის მიხედვით.
- (1) **30.4.** დაასახელეთ ერთი კონკრეტული საგაკვეთილო თემის სათაური, რომლის დროსაც გამოიყენებდით სამივე ილუსტრაციას.

ინსტრუქცია დავალებისთვის № 31. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 18.

დავალება 31. ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



პავლე პოტიომკინის წერილი პოლკოვნიკ ბურნაშევისადმი

ჩემმა ყოფნამ ყუბანში მდგარი ჯარის კორპუსში და შემდეგ ხაზზე დაბრუნებისას ტრაქტატის დადებამ ხელი შემიშალა, თქვენთვის შემეტყობინებინა აქაურ საქმეთა შესახებ. ახლა შევკარი ტრაქტატი, მოვაწერე რა მას ხელი და დავამტკიცეთ ორმხრივად ჩვენი ბეჭდებით. ამის შესახებაც დადებული არტიკულების ასლიდან და მისი თანდართული ჟურნალიდან შეგიძლიათ უფრო ნათლად გაიგოთ.

აქ გულახდილად შეგატყობინებთ, რომ ტრაქტატის ძალით, თუმცა კი ვამზადებ ეგერთა ორ ბატალიონს თქვენს საბინადრო საზღვრებში გამოსაგზავნად, მაგრამ განკარგულების გარეშე მათი დაძვრა არ შემიძლია. ამიტომ პასუხის მიღებამდე მათი მანდ ჩამოსვლის გაჭიანურებას საჭიროა მიეცეს შეკრების აუცილებლობის სახე. განკარგულება არ დაყოვნდება, გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

მაგრამ მოუთმენლობამ, რომლითაც ქართველმა რწმუნებულებმა მთხოვეს ამ ბატალიონების სასწრაფოდ გამოგზავნა, შეფერხება შეიძლება მიაწეროს ეჭვს, საიდანაც აუცილებელია მათი გამოყვანა. იმედი მაქვს თქვენი სიმარჯვის და კეთილგონიერების, რომ არ დაუშვებთ, უნდობლობის წყვილით დაიფაროს ჩვენთვის საჭირო უპირობო ერთგულება მეფისა.

ამასთან ერთად ვისურვებ, შევიტყო, შემომავალი ჯარის როგორი განთავსებაა გათვალისწინებული და როგორი ზომებია მიღებული მათი სურსათით მომარაგებისათვის. ასევე - სურსათისა და ფურაჟის ფულის გადახდის შესახებ და რა ვადებს დაადგენენ მათი მიწოდებისათვის.

დავათვალიერე გზა კელეტამდე და დავრწმუნდი, რომ ის მეტად თუ ნაკლებად მოწესრიგებულია. ასე რომ, რვა ცხენშებმული ეტლით მივემართებოდი.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

ვიმედოვნებ, რომ ამ თვის განმავლობაში ყაზბეგამდე დარჩენილი მანძილი მოესწრება, საითაც არ დავაყოვნებ ბატალიონების გაგზავნას.

ვიმედოვნებ, რომ თქვენ არ გამოგრჩებათ, გაარკვიოთ იბრაჰიმ-ხანის განზრახვები, ხოის, ურმიის და ერევნის ხანების მდგომარეობა. ადერბეიჯანის ყველა ეს ოთხი მმართველი გარს ერტყმის და მოიცავს სომხეთს, რომელზე მზრუნველობასაც იღებს ჩვენი კარი. ამიტომ საჭიროა დაწვრილებითი ცნობები მათი მდგომარეობისა და ძალების შესახებ, რაზეც დაველოდები თქვენს შეტყობინებებს. გთხოვთ, ჩემგან ხანებთან წერილებით გაგზავნილი შიკრიკები გზაში ყოველივე საჭიროებით უზრუნველყოთ, რისთვისაც უეჭველად მეფე მოგცემთ სახსრებს.

გთხოვთ, მაუწყოთ, როგორი სულისკვეთებით გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

მიიღებს მეფე ტრაქტატის დადებას. აქაური მდგომარეობის თაობაზე გაცნობებთ, რომ ყირიმში ყველაფერი ბრწყინვალედაა: ბეგებმა, მურზებმა და ხალხმა თავად გრიგოლ ალექსანდრეს ძის (პოტიომკინის) თანდასწრებით სისხლისღვრისა და იძულების გარეშე დაიფიცეს მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ქვეშევრდომობაზე. ესოდენ მნიშვნელოვანი მოვლენა არის თავადის შრომის ნაყოფი, მისთვის უკვდავი დიდების მომტანი. იმედია, რომ ამ დიადი საქმის ყველა შედეგი იქნება რუსეთისათვის სარგებლის მომტანი, რამეთუ პორტას ყველგან დაანახეს, რომ მისთვის უმჯობესია გამოხატოს სამშვიდობო განწყობილება.

ჩანს, ეს გარემოებები, ხელეხს შეუკრავს მის ექსპანსიას ამიერკავკასიის მხარეში. თურქები ამოდ **ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე**

არიან შეშფოთებულნი, რამეთუ ზავი ორივე სახელმწიფოს შორის ნარჩუნდება; მაგრამ რომც მომხდარიყო მისი მოშლა, სუსტია მათი თავდაცვა, როცა მხოლოდ ლეკებზე ამყარებენ იმედს.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები:

- (1) **31.1.** რას ვუწოდებთ ტრაქტატს, რომელზეც წერილის ავტორი საუბრობს?
- (1) **31.2.** წერილის შინაარსიდან გამომდინარე, რა მოვალეობას ასრულებდა წერილის ადრესატი?
- (1) **31.3.** დაასახელეთ წერილში ნახსენები ქართველი რწმუნებულების ვინაობა.
- (1) **31.4.** თქვენი აზრით, რატომ სთხოვს ავტორი პოლკოვნიკს, რომ არ დაუშვას, „უნდობლობის წყვდიადით დაიფაროს ჩვენთვის საჭირო უპირობო ერთგულება მეფისა“?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(1) **31.5.** წერილის ავტორის მიხედვით, იმ დროს სახელმწიფოებრიობის არმქონე რომელი ქვეყნისათვის აპირებს ზრუნვას მისი მთავრობა?

(1) **31.6.** რა სახელწოდებითაა ცნობილი ზავი, რომელიც, წერილის ავტორის მიხედვით „ნარჩუნდება ორ სახელმწიფოს შორის“?

(2) **31.7.** დაასახელეთ კონკრეტული პიროვნებები, რომლებიც იგულისხმებიან წერილში ნახსენებ „მეფეში“ და „მის საიმპერატორო უდიდებულესობაში“.

(2) **31.8.** რომელ სახელმწიფოში იმყოფება წერილის ადრესატი და დოკუმენტში არსებული რა ინფორმაციის საფუძველზე გააკეთეთ საკუთარი დასკვნა?

(2) **31.9.** რომელი სახელმწიფო იგულისხმება წერილში ნახსენებ პორტაში და წერილის ავტორის აზრით, რა შეუშლის ხელს მის ექსპანსიას ამიერკავკასიაში?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(2) **31.10.** დოკუმენტში არსებული რა ინფორმაცია იძლევა საფუძველს, განისაზღვროს რუსეთის ჯარის შემოსვლის მარშრუტი და რა უწოდეს, მოგვიანებით, რუსებმა ამ გზას?

(2) **31.11.** იმ დროს სახელმწიფოებრიობის არმქონე ქვეყნისათვის ზრუნვის გარდა, სრულად ჩამოთვალეთ კიდევ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული დავალებები, რომელსაც წერილის ავტორი აძლევს ადრესატს?

(2) **31.12.** დოკუმენტის მიხედვით, რამ შეიძლება გამოიწვიოს ქართველი რწმუნებულების ეჭვი და საფუძვლიანი იქნებოდა თუ არ ეს ეჭვი? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი დოკუმენტის ტექსტიდან საკუთარი პასუხის დამადასტურებლად.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)